ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია

გიორგი ღონღაძე

„შვეიცარიის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება“

ნაშრომი შესრულებულია მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე
გეოგრაფიის დოქტორი,პროფესორი

თბილისი 2023

სარჩევი

თავი 1. შესავალი....4

1.1 ქვეყნის ზოგად-გეოგრაფიული დახასიათება....4

თავი 2. ორგანიზაცია და მართვა....5

2.1. ქვეყნის ფორმირების ისტორია....5

2.2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სახელმწიფო მოწყობა....7

2.3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე....9

თავი 3. ბუნებრივი რესურსები და პირობები....11

3.1. ქვეყნის ბუნებრივი პირობები....11

3.2. ჰიდროლოგიური და ბიოლოგიური ბუნებრივი რესურსები....13

თავი 4. მოსახლეობა....14

4.1. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა....14

4.2. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა....16

4.3. მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა....18

4.4. დასაქმების სტრუქტურა....22

4.5. ურბანიზაცია....24

თავი 5. მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა....25

5.1. ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტრენდები....25

5.2. მშპ სტრუქტურა....27

თავი 6. მეურნეობის სექტორული ანალიზი....30

6.1. პირველადი სექტორი....30

6.2. მეორადი სექტორი....32

6.3. მესამეული/მეოთხეული სექტორი....34

თავი 7. გლობალური ინდექსები....38

7.1 ჰუმანური განვითარების ინდექსი....38

7.2 სხვა ინდექსები....39

7.3 გლობალური და რეგიონალური ორგანიზაციები....40

გამოყენებული ლიტერატურა....42

ანოტაცია

თანამედროვე, განვითარებულ სამყაროში სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება მსოფლიოს ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-გეოგრაფიული ანალიზი, რადგანაც სწორედ აღნიშნული გახლავთ წინაპირობა ნებისმიერი ქვეყნის მომავალი პროგრესისა. სტატისტიკური მონაცემები, სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი, გეოგრაფიული მდებაროება თუ პოლიტიკური მდგენელი, სამომავლოდ განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფოს შიგნით მოსახლეობის მდგომარეობას, ისე ქვეყნის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ სისტემაში. XXI საუკუნეში გაბატონებულმა გლობალიზაციის პროცესმა, სულ უფრო მეტად დააკავშირა ცალკეულ ქვეყნები და მათი მოსახლეობა ერთმანეთთან. პოლიტიკურ-ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები იმდენად გადაჯაჭვული აღმოჩნდა ერთ სისტემაში, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, მომავლის პერსპექტივაში, საკუთარ თავს განიხილავს როგორც ამ სისტემის ნაწილს, სისტემის რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც „ცივილიზებული სამყარო“. სწორედ ცივილიზებული და განვითარებულ სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნება, ჩემს მიერ განსახილველი თემის ობიექტი-შვეიცარია, რომელიც თავისი ისტორიით, გეოგრაფიით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მათ შორის პოლიტიკით უდაოდ ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფოა. ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილულ იქნება სწორედ ის გარემოებები და ფაქტორები რომელთა დამსახურებითაც შეძლო შვეიცარიამ იმ პროგრესის მიღწევა, რაც ქვეყნას დღესდღეობით გააჩნია.

თავი 1. შესავალი

1.1 ქვეყნის ზოგად-გეოგრაფიული დახასიათება

შვეიცარია, ოფიციალურად შვეიცარიის კონფედერაცია, (დედაქალაქი-ბერნი) მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში. კოორდინატებით: ჩრ.გ-46° 48' 47.47" ა.გ-8° 13' 27.16".[1] ტერიტორიის მოცულობით შვეიცარია შეიძლება ითქვას ზომით პატარა სახელმწიფოთა რიგს განეკუთნება, რადგანაც მისი ფართობი: 41,277 კმ^2-ია, საიდანაც 39,997 კმ^2. ხმელეთს, ხოლო 1,280 კმ^2. წყალს უკავია. ღრმა ალპური ტბებისა და მთიანი რელიეფის მქონე შვეიცარია, ტერიტორიის სიდიდით მსოფლიოში 135-ე ადგილს იკავებს. 525 კმ-იანი საზღვარით, დასავლეთიდან შვეიცარიას ესაზღვრება საფრანგეთი, ჩრდილოეთიდან გერმანია-348 კმ. აღმოსავლეთიდან ლიხტენშტეინი-41 კმ. და ავსტრია-158 კმ. ხოლო სამხრეთიდან მას გააჩნია ყველაზე დიდი საზღვარი იტალიასთან-698 კმ. **რუკა #1**



(წყარო: Nationsonline. Downloaded JPEG https://www.nationsonline.org/oneworld/map/switzerland-political-map.htm)

[1] Countries. Switzerland. Latitude and Longitude of Switzerland. https://latitude.to/map/ch/switzerland (18/05/23)

შვეიცარიის საერთო სახმელეთო საზღვარი მის მეზობლებთან 1770 კმ შეადგენს.[2] აღსანიშნავია რომ, შვეიცარია იმ 44 სახელმწიფოთაგან ერთ-ერთია, რომელთაც ღია ზღვაზე გასავლელი არ აქვთ. შვეიცარიის საერთო ტერიტორიაზე, ტოპოგრაფიული თვალსაზრისით, ძირითადად წარმოდგენილია 3 რეგიონი: მაღალმთიანი ალპები, შვეიცარიის პლატო და იურას მთები. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთით ტერიტორიის დაახლოებით 60% ალპების მთათა სისტემას უკავია, ქვეყნის მოსახლეობა ძირითადად წარმოდგენილია შვეიცარიის პლატოზე, ქვეყნის ცენტრალურ, სამხ. დას. და ჩრდილოეთ ნაწილებში, სადაც წარმოდგენილია ევროპის ერთ-ერთი განვითარებული ქალაქები: ციურიხი, ბაზელი, ლუცერნი, ჟენევა და სხვა.

თავი 2. ორგანიზაცია და მართვა

2.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია

შვეიცარია, როგორც ცალკეული სახელმწიფო სათავეს ძველი შვეიცარიის კონფედერაციიდან იღებს, რომელიც 1291 წელს შეიქმნა, როდესაც საღვთ რომის იპერატორის , რუდოლფ-I გარდაცვალების შემდეგ ქვეყანამ შეძლო, წარმატებით მოეგერიებინა ავსტრიისა და ბურგუნდიისგან მომდინარე სამხედრო შეტევები. სწორედ აღნიშნულის შემდეგ, იმავე წელს, მიღებულ იქნა ე.წ. „ფედერალური ქარტია“, რომელიც დღესდღეისობითაც კი ითვლება ქვეყნის დამფუძნებელ დოკუმენტად.

თავდაპირველად შვეიცარიის კონფედერაცია სულ სამი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისგან (თანამედროვე კანტონი): ური, შვიცი და უნტერვალდენი, შედგებოდა. მოგვიანებით 1315-1388 წლებში, ჰაბსბურგთა წინააღმდეგ შვეიცარიელთა მიერ მოპოვებული სამხედრო გამარჯვებების შედეგად, მანამდე არსებულ შვეიცარიის კონფედერაციას მიუერთდა სხვა ხუთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული:

[2] CIA. The World Factbook. Europe. Switzerland. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland (18/05/23)

გლარუსი, ცუგი, ლუცერნი, ციურიხი და ბერნი.[3] შვეიცარიის კონფედერატები ეტაპობრივად ახორციელებდა ექსპანსიონისტურ პოლიტიკას მის მეზობლად არსებულ მიწებზე. 1481 წლიდან მათ შეიერთეს კიდევ ხუთი ადმისნიტრაციულ-ტერიტორიული ერთეული: ფრიბორგი, სოლოთურნი, ბაზელი, შაფჰაუსენი და აპენზელი.[4] 1499 წელს, საღვთო რომის იმპერიისგან მათ ფორმალური დამოუკიდებლობაც კი მიიღეს, თუმცაღა მოგვიანებით 1515 წელს, მარიგნანოს ბრძოლაში, ფრანგებთან და იტალიელებთან განცდილი მარცხის შემდეგ, მათ უარი თქვეს ტერიტორიების ექსპანსიაზე. ამ დროისთვის



კონფედერაცია უკვე მოიცავდა 13 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელთა ოფიციალური ნეიტრალიტეტი 1648 წელს ვესტფალიის ზავით იქნა აღიარებული.[5]

რუკა #2

(წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Switzerland#/media/File:Old_Swiss_Confederation.jpg Downloaded JPEG)

მე 18-საუკუნეში,პირველი კოალიციის ბრძოლებისას შვეიცარიის ნეიტრალიტეტი არაერთხელ იქნა დარღვეული, როგორც ფანგების, ისე ავსტრიელთა და რუსების მხრიდან. მისი ნეიტრალიტეტი ოფიციალურად 1815 წლის ვენის კონგრესით კვლავ იქნა აღდგენილი. დღესდღეობით იგი კვლავინდებურად ინარჩუნებს ნეიტრალურ სტატუს, რისი გარანტორებიც: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი გახლავთ.

[3] "A Brief Survey of Swiss History". Federal Department of Foreign Affairs. 26/06/2009. https://web.archive.org/web/20090626222448/http://www.eda.admin.ch/eda/en/home/reps/ocea/vaus/infoch/chhist.html (19/05/23)

[4] "A Brief Survey of Swiss History". Federal Department of Foreign Affairs. 26/06/2009. https://web.archive.org/web/20090626222448/http://www.eda.admin.ch/eda/en/home/reps/ocea/vaus/infoch/chhist.html (19/05/23)

[5] History of Switzerland. https://www.nationsonline.org/oneworld/History/Switzerland-history.htm (19/05/23)

2.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სახელმწიფო მოწყობა

შვეიცარიის კონდეფერაცია, რომელსაც ოთხი განსხავევბული ოფიციალური დასახლება გააჩნია: Schweizerische Eidgenossenschaft (გერანული)/ Confederation Suisse (ფრანგული)/ Confederazione Svizzera (იტალიური)/ Confederaziun Svizra (რომანული)[6]; ფედერაციული მოწყობის, საპარლამენტო რესპუბლიკაა. დღეს-დღეისობით მის შემადგენლობაში შედის 26 კანტონი: ბერნი, ციურიხი, ლუცერნი, ური, შვიცი, ობვალდენი, ნიდვალდენი, გლარუსი, ცუგი, ფრიბურგი, ზოლოთურნი, ბაზელ-შტადტი, ბაზელ-ლანდშაფტი, შაფჰაუზენი, აპენზელ-აუსეროდენი, აპენზელ-ინეროდენი,სენკტ-გალენი, გრაუბუდენი, აარგაუ, თურგაუ, ტიცინო, ვაუდი, ვალაისი, ნოიშატელი, ჟენევა, სოლოტურნი.[7]

რუკა #3

(წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Switzerland#/media/File:Kantone_der_Schweiz.svg Downloaded JPEG)

აღსანიშნავია, რომ თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს საკუთარი დედაქალაქი, აბრევიატურა, გერბი და ოფიციალური ენაც კი გააჩნია. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დე-იურე შვეიცარიის კონფედერაციას დედაქალაქი არ გააჩნია, თუმცაღა გამომდინარე იქიდან, რომ მისი მთავრობა ქ. ბერნში არის წარმოდგენილი, ეს მას აქცევს დე-ფაქტო დედაქალაქად.

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია საპარლამენტო მოწყობის რესბულიკაა, ქვეყნისა და მთავრობის მეთაური ფედერალური ასამბლეის მიერ არჩეული პრეზიდენტია. შვეიცარიის სახელმწიფო მოწყობის სისტემა, აგებულია სამ ძირითად ორგანოზე, ესენია: ორპალატიანი ფედერალური ასამბლეა, რომელიც ძირითადად საკანონმდებლო

[6] CIA. The World Factbook. Switzerland. Government. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#government (19/05/23)
[7] CIA. The World Factbook. Switzerland. Administrative Divisions. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#government (19/05/23)

საქმიანობას ეწევა; ფედერალური საბჭო, რომელასა აღმასრულებელი ფუნქცია გააჩნია და ფედერალური სასამართლო. რაც შეეხება თითოეული მათგანის მიმოხილვას, ფედერალური ასამბლეა ეს არის ორპალატიანი საპარლამენტო ორგანო, რომლის წევრებიც, შვეიცარიის მოსახლეობის მხრიდან პირდაპირი უმრავლესობის წესით აირჩევიან. (გამონაკლისს წარმოადგენს იურას და ნოიშატელისკანტონები, სადაც წევრები პროპორციული სისტემით ირჩევიან). თითოეულ კანტონს ფედერალურ დონეზე 2-2 წარმომადგენლის არჩევის უფლება აქვს სულ-46, ხოლო ეროვნულ დონეზე, მოსახლეობის მიერ პროპორციული კენჭისყრით აირჩევა 200 წარმომადგენელი.[8] ჩვეულებისამებრ ფედერალური ასამბლეის წევრებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ. რაც შეეხება ფედერალურ საბჭოს, იგი შვიდი, უმაღლესი აღმასრულებელი თანამდებობის პირისგან შედგება, რომლებიც ხელმძღვანელობენ ფედერალურ მთავრობას, ფედერალურ ადმინისტრაციას და საერთოობაში ემსახურებიან სახელმწიფოს როგორც კოლექტიური მეთაური. ფედერალურ საბჭოს 4 წლის ვადით აკომპლექტებს და ირჩევს ფედერალური ასამბლეა. სწორედ ფედერალური საბჭოს წარმომადგენლებიდან ერთ-ერთი ხდება ქვეყნის უმაღლესი პირი-პრეზიდენტი, რომელიც რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს 1 წლის ვადით აირჩევა და ამასთან ერთი და იგივე კანდიდატს არ აქვს უფლება ზედიზედ იქნას არჩეული.[9] სწორედ ეს ფაქტი გამოარჩევს და ხდის განსაკუთრებულს შვეიცარიის სახელმწიფო მოწყობის სტრუქტურას. შედარებისთვის გერმანიაში, სადაც დაახლოებით მსგავსი ტიპის სახელმწიფო მოწყობაა, ფედერაციული წყობითა და ორპალატიანი პარლამენტით, ზემოთ აღნიშნულის მხრივ სრულიად განსახვევბული მდგომარეობაა, რადგანაც მათ შემთხვევაში მთავრობას აკომლექტებს არა ფედერალური ასამბლეა (პარლამენტი) არამედ პარლამენტის მიერ არჩეული კანცლერი, რომელიც განსხვავებით შვეიცარიის უმაღლესი პირისგან, 4 წლის ვადით ირჩევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით შვეიცარია ნამდვილი, დემოკრატიული პრინციპების გამომხატველი საუკეთესო ნიმუშია. რაც შეეხება ფედერალურ სასამართლოს, იგი დაკომპლექტებულია 38 მოსამართლისა და 19 მოადგილისგან, რომელებიც განაწილებულნი არიან შვიდ განყოფილებაში.[10]

---

[8] CIA. The World Factbook. Switzerland. Government. Legislative Branch. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#government (19/05/23)

[9] CIA. The World Factbook. Switzerland. Government. Executive Branch. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#government (19/05/23)

[10] CIA. The World Factbook. Switzerland. Government. Judicial Branch. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#government (19/05/23)

განსხვავებით მეზობელი, ასევე ნეიტრალური ავსტრიისა, სადაც მოსამართლეებს პარლამენტი უვადოდ განაწესებს, შვეიცარიაში მოსამართლეები ეროვნული ასამბლეის მიერ 6 წლის ვადით აირჩევიან. მათ დაქვემდებარებაში შედის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სასამართლოები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარიის შემთხვევაში ვერ შევხვდებით საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნულთან ერთად, შვეიცარიის სასამართლოს გამოარჩევს ის ფაქტიც, რომ მოსამართლეები პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებულნი არიან და რეგიონული და ენობრივი კრიტერიუმებით აირჩევიან, ამა თუ იმ რეგიონის მოთხოვნების პროპორციულად. ბოლოს ნახსენებიდან გამომდინარე შესაძლოა ვიფიქროთ, თავისუფალი სასამართლო სისტემისთვის რამდენად მიზანშეწონილია მოსამართლეთა პოლიტიკურ პართიებთან ურთიერთობა, მაგრამ თუ აღნიშნულს სასამართლოს სიტემის მინუსად ჩავთვლით არ უნდა დაგვავიწყდეს სხვა არსებული პლოუსები (მოსამართლეთა არჩევის 6 წლიანი ვადა), თანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ მოსამართლეთა პოლიტიკურ პართიებთან კავშირი, უფრო მეტად მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტურ და სხვა სახის ნიუანსებთანაა დაკავშირებული.

2.3 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე

შვეიცარია დღესდღეობით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთაგან ერთ-ერთია, სადაც წარმოდგენილია პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოება. ქვეყნის განვითარების ისტორიულმა კურსმა, თანამედროვეობაში განაპირობა ის ფაქტი, რომ შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა. იგი გამოირჩევა მაღალი შემოსავლით, უკიდურესად დაბალი უმუშევრობით, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით, სოციალური სიკეთეებითა და ეროვნული სიმდიდრით. მისი ნომინალური მშპ მოცულობამ 2021 წლის მონაცემით 800.64 მლრდ$ შეადგინა[11]. სახელმწიფოს სოციალურ განვითარებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში. 2022 წლის მონაცემით შვეიცარიაში, უმუშევრობის დონემ 4.2% შეადგინა, რაც წინა, 2021 წლის იმავე მაჩვენებელზე 0.9% ით ნაკლებია.[12]

[11] The World Bank. Data. Economic. https://data.worldbank.org/country/switzerland?view=chart (19/05/23)
[12] The World Bank. Data. Economic. https://data.worldbank.org/country/switzerland?view=chart (19/05/23)

ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგრადობასა და სიძლიერეზე ასევე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1 შვეიცარული ფრანკის ღირებულება 0.8946$-ია,[13] მაშინ როდესაც ფართობით დაახლოებით იგივე ტერიტორიისა და ამავდროულად ზღვაზე გასასვლელის მქონე დანიის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი: 6.84DKK/1USD-ია. დღესდღეობით თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარება იმდენად აღარაა დამოკიდებული გეოგრაფიულ გარემოზე რამდენადაც ეს ასწლეულების უკან იყო, თუმცაღა თანამედროვეობაში მაინც ვხვდებით ე.წ. „გეოგრაფიული დეტერმინიზმის“ ნიშნებს. უფრო კონკრეტულად კი შვეიცარიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ეკონომიკურ-სოციალური განვითარება, გამოწვეული იყო იმ გარემოებებით, რომ მაგალითად: შვეიცარიას ფიზიკურად არ შეეძლო სოფლის მეურნეობის ან მძიმე მრეწველობის განვითარება, ამიტომაც ქვეყნის მოსახლეობამ საკუთარი ცოდნის რეალიზება მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაში შეძლო. ამასთან იგი მდებარეობდა ევროპის უდიდესი სახელმწიფოების გასაყარზე, რამაც ხელი შეუწყო ტრანპორტის, გადაზიდვებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას. საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნებული ნეიტრალიტეტი, მას ავტომატურად უსაფრთხო სახელმწიფოდ აქცევდა, რამაც თავის მხრივ ფინანსური სექტორი განავითარა.

შვეიცარიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას აქტიურად უწყობს ხელს, ქვეყანაში არსებული მაღალგანვითარებული სერვისები, მაღალტექნოლოგიურ ცოდნასა და განათლებაზე დაფუძნებული წარმოება, აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, ინფლაციის დაბალი დონე, (2.8% 2022წ. მონაცემით)[14] შრომის მაღალი პროდუქტიულობა, განვითარებული ინფრასტრუქტურა და მრავალი სხვა, რასაც უფრო დეტალურად შემდეგ თავებში განვხილავთ. თავისუფალი ბაზარი და გახსნილი ეკონომიკა ქვეყნის შიგნით აქტიური ვაჭრობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია, ამასთან ერთად ქვეყანაში კარგად არის დაცული საკუთრების უფლებები და ადგილობრივი მეწარმეობა.
არსებობს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ, რაც ერთ მთლიან სამართლებრივ-პოლიტიკურ ჩარჩოშია მოქცეული. ქვეყანა აგრძელებს ღია კარის პოლიტიკას საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების მიმართ, რაც მომავალში კვლავაც

[13] Switzerland National Bank. Exchange Rates. https://www.snb.ch/en/ (19/05/23)
[14] The World Bank. Data. Economic. https://data.worldbank.org/country/switzerland?view=chart (19/05/23)

წაახალისებს შვეიცარიის დინამიურ, პროგრესირებად და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

თავი 3. ბუნებრივი რესურსები და პირობები

3.1 ქვეყნის ბუნებრივი პირობები

როგორც უკვე ავღნიშნე, შვეიცარია ტოპოგრაფიული თვალსზარისით 3 ნაწილისგან შედგება. ქვეყნის სამხრეთი ნაწილი მთლიანად უკავია ალპურ მთათა სისტემას, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით თანდათანობით გადადის შვეიცარიის პლატოზე, სადაც წარმოდგენილია მრავალი გორაკ-ბორცვი და დაბლობი. **რუკა #4** აღსანიშნავია რომ შვეიცარიის მოსახლეობის ძირითადი ნაწილიც სწორედ ამავე პლატოზეა კონცენტრირებული, რადგანაც ზღვის დონიდან შედარებით დაბალი სიმაღლე და რაც მთავარია ნაყოფიერი ნიადაგი საცხოვრებლად საუკეთესო პირობებს ქმნის. უკანასკნლეს კი დასავლეთიდან იურას მთათა სისტემა აკრავს.



(წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Geography_of_Switzerland#/media/File:Trois_r%C3%A9gions_suisses_1.png Downloaded JPEG)

შვეიცარია თავისი ბუნებრივი პირობებით ნამდვილად გამორჩეულია, აქ თავს იყრის, მაღალი ალპური მდელოები, ღრმა ტბები, მთის მდინარეები და მყინვარები.

შვეიცარიის ალპებში 48, 4000მ-ზე მაღალი სიმაღლის მყინვარია წარმოდგენილი, რომელთანგან უმაღლესი: მთა-“დუფურსპიტზია”, მისი სიმაღლე 4634მ. შეადგენს.[15]

შვეიცარიის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1350მ-ია, რაც თითქმის 450 მეტრით აღემატება ავსტრიის (910მ) მაჩვენებელს, რომელსაც არანაკლებ მთიანი რელიეფი გააჩნია. მიუხედავად, ზღვის დონიდან ქვეყნის მაღალი ადგილმდებაროებისა, შვეიცარიაში მრავალად შეხვდებით დაბალი სიმაღლის მქონე ადგილებს, რომლებიც ძირითადად სხვადასხვა ტბების პირებზეა წარმოდენილი, მაგალითად ტბა-„მაჯიორი“, რომელიც ზღვის დონიდან 195მ. სიმაღლეზე მდეობარეობს. ცენტრალური პლატოს ტერიტორიაზე მრავალად შეხვდებით დაბლობებს და ტბის პირებს. როგორც უკვე ავღნიშნე მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ ცენტრალურ პლატოზე კონცენტრირდება რადგანაც, სასოფლო-სამეურნეო მიწის საერთო მოცულობიდან-38.7%[16] დაახლოებით მესამედი, სახნავ-სათესად ვარგისი ტერიტორია, ცენტრალურ პლატოზეა წარმოდგენილი. მეორე ნახევარი კი ძირითადად მუდმივ საძოვრებს უკავია.

შვეიცარიისთვის დამახასიათებელია ზომიერი კლიმატი, რომელიც თავის მხრივ, რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. გეოგრაფიულად იგი მდებარეობს ზომიერ კლიმატურ სარტყელში. აქ ყველაზე ნათალდ არის წარმოდგენილი, ვერტიკალური ზონალობის პრინციპი, სიმაღლის მატებასთან ერთად ტემპერატურა და მასთან ერთად წნევა მკვეთრად ეცემა. ქვეყნის უმეტეს ნაწილისთვის დამახასიათბელია ცივი, ნალექიანი ზამთარი, რაც ძირითადად წვიმისა და თოვლის სახით ვლინდება. რაც შეეხება ზაფხულს, იგი შედარებით თბილი და ნოტიოა. საშუალო ტემპერატურა მთელს შვეიცარიაში 1991-2020 წლებში 5,8°C შეადგენდა. შვეიცარიის დაბლობში საშუალო წლიური ტემპერატურაა 8-12°C-ია. ალპების ჩრდილოეთით, ყველაზე მაღალი ტემპერატურა არის დასავლეთ შვეიცარიაში ჟენევის ტბის გასწვრივ და სამხრეთ იურას მთისწინეთში, ბაზელის რეგიონში და მდინარეების რაინისა და როისის გასწვრივ მდებარე ხეობებში.[17]

[15] CIA. The World Factbook. Switzerland. Geography. Elevation. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#geography (20/05/23)
[16] CIA. The World Factbook. Switzerland. Geography. Land Use. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#geography (20/05/23)
[17] Federal Office of Meteorology and Climatology. The Climate of Switzerland. Temperature. https://www.meteoswiss.admin.ch/climate/the-climate-of-switzerland.html (20/05/23)

3.2 ჰიდროლოგიური და ბიოლოგიური ბუნებრივი რესურსები

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია ევროპის და მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი და მაღალშემოსავლიანი სახელმწიფოა, იგივეს ვერ ვიტყვით მის ბუნებრივ რესურსებზე, თუ მხედველობაში მივიღებთ, სასარგებლო წიაღისეულს ან/და სხვა მინერალებს. სასარგებლო წიაღისეული ქვეყნას თითქმის არ გააჩნია. რაც შეეხება მინერალებს, ქვეყანაში ხდება მარილის მოპოვება. შვეიცარიის ბუნებრივი რესურსები ძირითადად წარმოდგენილია: სამეურნეო-სასოფლო მიწებით (რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის 1/10 შეადგენს), მუდმივი, ალპური საძოვრებით, წყლისა და ტყის რესურსებით. განსაკუთრებით აღსანიშნია მისი ჰიდროგრაფიული პოტენციალი. ევროპის ჰიდროგრაფიულ ცენტრში მდებარე შვეიცარია, მრავალი დიდი და ძირითადი მდინარის წყაროა. ალპების, როგორც მთავარი წყალგამყოფის როლი, ყველაზე აშკარაა მის ცენტრალურ ნაწილში, სადაც მრავალი მდინარის ხეობა ერთმანეთს უკავშირდება და ქმნის ერთ დიდ ჰიდროგრაფიულ ქსელს. ამავე ქსელის უმთავრესი შემადგენელებია: მდ. როისის, რონის და რაინის ნაკადები, რომლებიც სათავეს შვეიცარიის ალპებში იღებენ და გადაკვეთენ ევროპის მრავალ სახელმწიფოს(ავსტრია, გერმანია, ჰოლანდია, საფრანგეთი) და ჩედინებიან ჩრდილოეთის და ხმელთაშუა ზღვებში. მდინარეების გარდა შვეიცარიაში 1500-მდე ტბაა, რომელთაგან სიდიდით გამოირჩევა, ჟენევის, კონსტანსის, ნოუშატელის, მაჟორის და ლუცერნის ტბები[18]. სწორედ აღნიშნული ტბების მტკნარი წყლით მარაგდება ევროპის მრავალი სახელმწიფო, რაც შვეიცარიის ჰიდროგრაფიულ რესურს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობასა და პოტენციალს ანიჭებს. ოფიციალური მონაცემებით, ევროპის კონტინტენის მტკნარი წყლის დაახლოებით 6% შვეიცარიის ჰიდროგრაფიულ ქსელზე მოდის.[19] ამასთან შვეიცარიის წყლის რესურსის მნიშვნელობა დაკავშირებულია ქვეყანაში ჰიდროენერგეტიკულ წარმოებასთან. მთიანი რელიეფი ავტომატურად განაპირობებს, მდინარების მაღალი სიჩქარით ჩამოდინებას, რაც თავის მხრივ ჰიდროენერგეტიკული, მაღალი პოტენციალის არსებობას უწყობს ხელს.

[18] Geography of Switzerland. All Essential Facts. Rivers & Lakes. Last update:22/05/23 https://switzerlanding.com/geography/ (22/05/23)

[19] Official Website of Switzerland. Geography-Facts & Figures. Last update:05/05/23 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/umwelt/geografie/geografie---fakten-und-zahlen.html (22/05/23)

ქვეყნის არანაკლებ მნიშვნელოვანი ბუნებრივ-ბიოლოგიური რესურსია ტყე. 2018 წლის მონაცემით, ქვეყანაში ტყის საფარის მოცულობამ, საერთო ტერიტორიის 31.5% შეადგინა.[20] იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შვეიცარიის ტერიტორიის დაახლოებით 60% ალპურ მთათა სისტემას და შესაბამისად ალპურ მდელოებსა და საძოვრებს უკავია, ტყის მასივის მოცულობა საკმაოდ მაღალია. აღნიშნულში თავის მხრივ, მნიშველოვან როლს თამაშობდა ის ფაქტი, რომ შვეიცარიის მთავრობა წლების განმავლობაში, აქტიური პოლიტიკით ახორციელებდა ტყის დაცვას. სამეურნეო მიმართულებით, ტყის მნიშვნელობიდან გამომდინარე მისი მრეწველობა საკმაოდ მცირეა, თუმცაღა აღნიშნული კონტროლდება იმგვარად, რომ ერთი მხრივ, ადგილობრივ ფერმერს შეეძლოს წარმოებიდან სტაბილური შემოსავლის მიღება და მეორე მხრივ არ დაზიანდეს ტყის საფარი და საფრთხე არ შეექმნას მის მომავალს.

თავი 4. მოსახლეობა

4.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა.

2000 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინებით, შვეიცარიის მოსახლეობა სისტემატიურად იზრდებოდა და 2021 წლისთვის 8, 703,405 ადამიანი[21] შეადგინა. მოსახლეობის საშუალო წლიურმა ზრდამ, იმავე წლის მონაცემით 0.8% შეადგინა, რაც წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს 0.1% აღემატება. შვეიცარიის მოსახლეობა ნელა, მაგრამ ეტაპობრივად იზრდება. ყოველივეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2000 წელს ქვეყნის მოსახლეობა 7, 184, 250 შეადგენდა[22] (20 წლის განმავლობაში, დაახლოებით 1.5მლნ.-იანი მატება). აღსანიშნავია, რომ შვეიცარია ევროპის იმ სახელმწიფოთა რიგს განეკუთვნება, სადაც ბუნებრივი მატების დადებითი სალდოა, რადგანაც შობადობის მაჩვენელებელი 10.3 %⁰-ია, ხოლო სიკვდილიანობის-8.37%⁰.[23]

[20] CIA. The World Factbook. Switzerland. Geography. Land use. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#geography 22/05/23
[21] The World Bank. Data. Switzerland. Social Indicator. https://data.worldbank.org/country/switzerland (22/05/23)
[22] The World Bank. Data. Switzerland. Social Indicator. https://data.worldbank.org/country/switzerland (22/05/23)
[23] CIA. The World Factbook. Switzerland. People and Society. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (22/05/23)

სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი შვეიცარიაში ძირითადად განპირობებულია ე.წ. „დაბერებული საზოგადოების“ არსებობით. მოსახლეობის საშუალო ასაკი 42.7 წელია. მამაკაცებსა და ქალებში აღნიშნული მაჩვენებელი განსახვევბულია: მამრ.-41.7 მდ.-43.7. შედარებისთვის, ტერიტორიით ორჯერ პატარა ისრაელში ანალოგიური მაჩვენებელი 30.4 წელია, რაც შვეიცარიასთან მიმართებაში ძალიან დაბალია. ასევე საკმაოდ განსხვავებულია ისრაელის შობადობისა-17.3%⁰ და სიკვდილიანობის-5.05%⁰ მაჩვენებლები.

შვეიცარია დემოგრაფიული გადასვლის მე-4 ფაზაშია, სადაც ძირითადად წარმოდგენილია პოსტ-ინდუსტრიული, განვითარებული ქვეყნები. მსგავსად ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნებისა, შვეიცარისთვისაც დამახასიათებელია ისეთი დემოგრაფიული ტენდენციები, როგორებიცაა: მოსახლეობის დაბერება, სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობა(შვეიცარიის შემთხვევაში 84 წელი), სოციალურ-ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, მცირე, ერთ შვილიანი ოჯახები,(უკანასკნელს ხაზს უსვამს ქალთა ფერტილობის კოეფიციენტი-1.58)[24] მიგრაცია და სხვა. შვეიცარიაში ჩვილთა სიკვდილიანობის უაღრესად დაბალი მაჩვენებელი(3.5 დაღუპული ყოველ 1000 დაბადებულზე), ნათლად მიუთითითებს ქვეყანაში არსებულ მაღალი სტანდარტის სოციალურ მდგომარეობასა და მაღალტექნოლოგიურ ჯანდაცვის სექტორზე. ბოლოს ნახსენების უკეთ გაასაზრებლად, შვეიცარიის მაგალითზე, განვიხილოთ ცენტრალური აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფო-ჩადი, რომელიც ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით(63,99/1000) მსოფლიოში მე-7 ადგილს იკავებს, მაშინ როდესაც შვეიცარია ამავე ინდექსით მსოფლიოს 194-ე ადგილზეა.

შვეიცარიის მოსახლეობის დემოგრაფია 2012-2020წ. **ცხრილი #1**

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მოსახლეობა	7,996,861	8,089,346	8,188,649	8,282,396	8,373,338	8,451,840	8,514,329	8,575,280	8,638,167
ბუნ.მატება%	1.1	1.1	1.2	1.1	1.1	0.9	0.7	0.7	0.7
შობადობა	10	10	10	11	11	10	10	10	10
სიკვდ.ობა	8	8	8	8	8	8	8	8	9
მიგრაცია	64,464	83,892	77,880	71,488	70,637	45,208	40,899	43,546	53,786
სიცოცხ.საშ.	82.7	82.8	83.2	82.9	83.6	83.5	83.7	83.9	83

(სტატისტიკური მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-საიტიდან. წყარო: https://data.worldbank.org/country/switzerland)

[24] CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Total Fertility Rate. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (22/05/23)

რამდენანად ცხრილი #1- დან ჩანს, შვეიცარიას, წლების განმავალობაში მიგრაციის დადებითი სალდო აქვს, თუმცაღა აღნიშნული თანდათანობით კლებულობს, რაც ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკის დამსახურებაა. 2023 წლის მონაცემით, შვეიცარიაში მიგრაციის სალდომ 4.5%[0] შეადგინა.[25] გამომდინარე იქიდან, რომ შვეიცარია სოციალურ-ეკონომიკურად მაღალგანვითარებული სახელმწიფოა, ქვეყანაში ადგილი აქვს უცხოელ მიგრანტთა შედინებას, რომლებიც სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან ემიგრირებენ, უკეთესი სოციალურ პირობებისა და მაღალი ანაზღაურების ძიებაში. აღნიშნული თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყანაში მოსახლეობის ზრდას. ზემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს, რომ შვეიცარიის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 1-ს თითქმის არ აღემატება, შესაბამისად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსახლეობის ზრდას, ბუნებრივ მატებასთან ერთად ნაწილობრივ მიგრაციაც განაპირობებს.

4.2 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

შვეიცარიის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ძირითადად შემდგენაირადაა გამოხატული: 0-14 და 15-64 წლამდე, თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში მამაკაცები სჭარბობენ ქალებს. 65 წლის ზევით ასაკობრივ ჯუგფებში ქალების რაოდენობა საგრძნობლად მეტია მამაკაცებისაზე. რაოდენობაში და პროცენტულად, მოსახლეობის სქესობრივ ასაკობრივი მდგომარეობა, 2023 წლის მონაცემებით შემდეგნაირია: **ცხრილი #2**

ასაკი	0-14	15-64	65-მეტი
მამაკაცები	683,053	2,800,880	745,501
ქალები	643,067	2,777,109	914,150
% მაჩვენებელი	15.49%	65.13%	19.38%

(წყარო: CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Age Structure. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society)

[25] CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Net Migration Rate. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (22/05/23)

მოყვენილი მონაცემები, კიდევ ერთხელ ცყადყოფს, რომ შვეიცარიის მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია. 65 წელს ზემოთ მოსახლეობა ქვეყნის თითქმის მეხუთედს შეადგენს, მაშინ როცა ახალგაზრდა მოსახლეობის წილი ყველაზე ნაკლებია. ასავე ხაზგასასმელია მოსახლეობის დამოკიდებულების ინდექსი, იგი შვეიცარიის შემთხვევაში 2021წ. მონაცემით 51.6-ია,[26] რაც იმას ნიშნავს რომ ყოველ ერთ შრომისუნარიან ადამიანს, მასზე დამოკიდებული 0.5-1 შრომისუუნარო ადამიანის რჩენა უწევს. მსგავსი ტენდენცია უმეტესწილად ყველა ევროპულ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოშია. მაგალითად ბელგის შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 56.5-ია. ანალოგიურია გერმანიის დამოკიდებულების ინდექსიც-56.4.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ ქვეყნის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას, რომელიც თავის მხრივ ერთგვარი საშუალებაა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების.



(წყარო: CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Age Structure. Population Pyramid for Switzerland. Downloaded JPEG. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society)

მოცემული პირამიდიდან ნათლად ჩანს, რომ შვეიცარია დემოგრაფიული გადასვლის მე-4 ფაზაში იმყოფება. ქვეყანაში შემცირებულია შობადობა, მაგრამ მასთან ერთად

[26] CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Dependency Ratio. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (22/05/23)

შემცირებულია სიკვდილიანობაც. მაღალგანვითარებული და მაღალტექნოლოგიური ჯანდაცვის პირობებში, მინიმუმამდეა დაყვანილი ჩვილთა სიკვდილიანობა, რაზეც პირამიდის თანაბარი ფუძე მიუთითებს. მოსალოდნელია სიცოხლის მაღალი ხანგრძლივობა. ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ეკონომიკურად აქტიური (15-64) მოსახლეობა წარმოადგენს. ახასიათებს მირაციის დადებითი სალდო, რომელიც ასევე საშუალო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდითაა განპირობებული. გამონაკლის წარმოადგენს: 15-19 და 20-24 წლების ასაკობრივი ჯგუფები, რომლებიც დიდი ალბათობით, სასწავლებლად ან/და სამოგზაუროდ ემიგრირებენ სხვა ქვეყნებში.

4.3 მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა

შვეიცარიის მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა, მსოფლიოში ყველაზე გამორჩეულია, რადგანაც ქვეყანა აერთიანებს დასავლეთ და სახმრეთ ევროპის ძირითად კულტურულ მიმდინარეობებს, ესენია: გერმანული, ფრანგული და იტალიური. ოფიციალურად შვეიცარიის მოსახლეობა მოიხსენიება როგორც შვეიცარიელები, თუმცაღა ქვეყანაში წარმოდგენილია რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი, რომელთა ინტერესების დასაცავად ქვეყანაში ოფიციალურად აღიარებულია ამავე ჯგუფებისთვის მიკუთვნებული 4 ენა: გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტრო-რომანული. გარდა ზემოთ ნახსენებისა, შვეიცარიაში შეხვდებით სხვა მრავალ ეთნიკურ ჯგუფს, რომლებიც შედარებით მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი. 2020 წლის მონაცემებით, შვეიცარიის მოსახლეობის 69.2% შვეიცარიალები შეადგენდნენ, რომლებიც ხშირად ეთნიკურ გერმანელებთანაც არიან აფილირებულნი. ცალკე გერმანულ ეთნოს ქვეყნის მოსახლეობის 4.2% ეკავა, რომელიც ცალკე აღებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შემდგომ მოდის იტალიელთა ეთნოსი-3.2%-ით და პორტუგალიელები, რომლებიც მოსახლეობის 2.5% შეადგენენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პორტუგალიელთა რაოდენობა ქვეყანაში აჭარბებს ეთნიკურად ფრანგების რაოდენობას. პროცენტულად ფრანგი მოსახლეობის წილი-2.1% იყო, მაშინ როდესაც, შვეიცარიის ერთ-ერთ სახელმწიფო ენას ფრანგული წარმოადგენს. შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება თურქებისა (1%) და კოსოვოელთა (1.1%) ეთნიკური წარმომადგენლობა. რაც შეეხება სხვა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებს, ქვეყნის საერთო მოსახლეობაში, მათ საკმაოდ მაღალი წილი

უკავიათ-16.7%.[27] აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიის მოსახლეობის დაახლოებით 1/3 ნაწილს, ეთნიკურად უცხოელები შეადგენენ.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა **დიაგრამა#1**



(სტატისტიკური მონაცემები აღებულია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიციალური ვებ-საიტიდან. წყარო: https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society)

რაც შეეხება მოსახლეობის ლინგვისტურ შემადგენლობას, როგორც უკვე ავღნიშნეთ, შვეიცარიაში მოქმედებეს ოთხი სახელმწიფო ენა: გერმანული, ფრანგული, იტალიური და რომანული. მსოფლიოში სულ რამოდენიმე სახელმწიფოა, რომელთაც ოთხი ოფიციალური ენა გააჩნიათ, თუმცაღა შვეიცარიის შემთხვევა გამორჩეულია იმით, რომ ქვეყანაში საუბრობენ ოთხ სრულიად განსხვავებულ ენაზე და ეს არ არის ადგილობრივი, დიალექტური ან და სხვა სახის კულტურული სასაუბრო ენა, მაგალითად როგორც ეს არის ესპანეთში, სადაც ოფიციალურ ესპანურთან ერთად, ბასკური და კატალონიური ენებიც არსებობს. ოთხი ოფიციალური, განსხვავებული ენა, საკომუნიკაციოდ საუკეთესო პირობებს ქმნის და ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტი, რეგიონებისა და კანტონების მიხედვით ამავე ენებზე საუბრობს.

ეთნიკური განსხვავებების შესაბამისად, ჩამოთვლითა გარდა არსებობს სხვა ენებზე

[27] CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Ethnic Groups. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (23/05/23)

მოსაუბრე მოსახლეობაც. 2019 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ათზე მეტი განსხვავებული ენა არსებობდა, რაც შვეიცარიის მოსახლეობის მრავალფეროვნებას კიდევ ერთხელ ადასტურებს. პროცენტულობაში და სტატისტიკური მონაცმემების მიხედვით, შვეიცარიის ლინგვისტური შემადგენლობა შემდეგნაირია:

დიაგრამა #2



(წყარო: CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Languages. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society)

მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს შვეიცარიაში, გერმანულენოვანი მოასახლეობის უპირატესობა სხვა დანარჩენთან. გერმანულის შემდეგ, ყველაზე გავრცელებულია ფრანგული და იტალიური, რომელთა ერთობლივი წილი დაახლოებით 1/3 შეადგენს. ხაზგასამელია ის ფაქტი, რომ რეტრო-რომანულ ენაზე მოსახლეობის მხოლოდ 0.5 % საუბრობს, მაშინ როცა იგი ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსაზრებაა, რომ რეტრო-რომანული, დღესდღეობით შვეიცარიაში, ძირითადი ენების რიგში არ შედის და მას უფრო კულტურულ-ისტორიული დატვირთვა გააჩნია. დიაგრამაში წარმოდგენილი ენების გარდა, შვეიცარიაში არსებობს: ალბანური-3.3% და სერბო-ხორვატიული-2.3% ენები.

მსგავად ეთნო-ლინგვისტური მდგომარეობისა, შვეიცარია რელიგიური მიკუთვნებულობის მიხედვით, საკამოდ მრავალფეროვანია. ისტორიულად, ქვეყნის მოსახლეობაში, რომაული კათოლიციზიმის მიმდევრები ყოველთვის საგრძნობლად აღემატებოდნენ სხვა აღმსარებლობის წევრებს. დღესაც, ქვეყანაში რომაული კათოლიციზმის გავრცელება ყველაზე მეტია და 2021 წლის მონაცემით, ქვეყნის მოსახლეობის 33.7% შეადგენს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, გლობალიზაციის პროცესის შესაბამისად, ქვეყანა მრავალმხრივ ცვლილებებს განიცდიდა რელიგიური აღმსარებლობის მხრივ. განსაკუთრებით ხაზგასაზმელია პროტესტანტიზმი და ისლამი. 21-ე საუკუნეში პროტენსტანცების წილი საკმაოდაა შემცირებული, მაშინ როცა გაზრდილია მუსლიმებისა და არარელიგიური პირების რაოდენობა.(2010 წლიდან მოყოლებული, რელიგიური აღმსარებლობის არმქონე მოსახლეობის რიცხვი 12% გაიზარდა.)[28] 2021 წლის მონაცემების მიხედვით, კათოლიციზმის შემდეგ, ყველაზე დიდ რელიგიურ ჯგუფს პროტენსტანტები წარმოადგენენ, რომელთა წილი 21.8%-ია. მოსახლეობის მესამედს-30.9% შეადგენენ არარელიგიური აღმსარებლობის ადამიანები, რაც უძველესი ევროპული, კათოლიკური სახელმწიფოსთვის საკმაოდ მაღალია.

შვეიცარიის მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობის დინამიკა **დიაგრამა #3**



(წყარო: Switzerland Federal Statistical Office. Downloaded JPEG. https://www.bfs.admin.ch/bfs/en/home/statistics/population/languages-religions/religions.html)

[28] Switzerland Federal Statistical Office. Population. Languages & Religions. Religions. 2023. https://www.bfs.admin.ch/bfs/en/home/statistics/population/languages-religions/religions.html (23/05/23)

ზემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, რომ 1990 წლიდან მოყოლებული, მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობა ნელა იზრდებოდა და 2021 წლისთვის 5.5% შეადგინა. განსხვავებით ევროპის სხვა განვითარებული სახელმწიფოებისა, სადაც მუსლიმი მოსახლეობის მაღალი პროცენტულობაა,(მაგ: 68მლნ-იან საფრანგეთში 4% მუსლიმია) შვეიცარიაში ისლამის გავრცელების პრევენციას ხელი შეუწყო კონსერვატიულმა პარტიამ. უფრო კონკრეტულად კი 2009 წლის რეფერენდუმის მიხედვით, აკრძალულ იქნა მეჩეთებისა და მინარეთების მშენებლობა, რამაც თავის მხრივ შეაჩრა ქვეყანაში მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი შედინება. გარდა ზემოთ ჩამოთლილი რელიგიური აღმსარებლობებისა, შედარებით მცირე რაოდენობით წარმოდგენილია: მართმადიდებლური ქრისტიანობა, ბუდიზმი, იუდაიზმი, ევანგელიზმი და აპოსტოლიზმი. [29]

4.4 დასაქმების სტრუქტურა

1990 წლიდან მოყოლებული, შვეიცაარის სამუშაო ძალის რაოდენობა სისტემატიურად, იზრდებოდა და 2022 წლისთვის 5,017,413 ადამიანი შეადგინა.[30] შვეიცარია, მთელს მსოფლიოში, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ერთ-ერთი გამორჩეულია უმუშევრობის დაბალი და დასაქმების მაღალი მაჩვენებლით. 2021 წლის მონაცემით, სამუშაო ძალის მხოლოდ 5.32%[31] გახლდათ უმუშვარი, რაც იმავე წლის სხვა ქვეყნის მაგალითად:იტალია-9.83%, მაჩვენებლზე დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის მაჩვენებელი წინა 2020-2019 წლების მონაცემებთან შედარებით, საშუალოდ 0.8% გაზრდილია, რაც ძირითად კოვიდ-19-ის პანდემიისგან იყო გამოწვეული. შვეიცარია ზემოთნახესენები ინდექსის მიხედვით, ძირითადად ჩამორჩება ინდუსტრიულად განვითარებულ ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, პოლონეთი , სამხ. კორეა, იაპონია და სხვა.

[29] Switzerland Federal Statistical Office. Population. Languages & Religion. Religion. 2023. https://www.bfs.admin.ch/bfs/en/home/statistics/population/languages-religions/religions.html (23/05/23)
[30] The World Bank. Switzerland. Data. Total Labor Force. https://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.TOTL.IN?locations=CH (23/05/23)
[31] CIA. The World Factbook. Switzerland. Economy. Unemployment Rate. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#economy (23/05/23)

ქვეყანაში ქალთა უმუშევრობის წილი-5.3% მცირედით აღემატება მამაკაცთა უმუშევრობის მაჩვენებელს-4.9%[32]. ანალოგიური მდგომარეობაა დასაქმების მიმართულებითაც, დასაქმებულთა წილი ქალებში(79.9%), 8.9%-ით ნაკლებია ვიდრე მამაკაცების(88.5%).[33] აღნიშნული კი თავის მხირვ პირველ რიგში დაკავშირებულია ქალთა საოჯახო მეურნეობაში აქტიური ჩართულობით. რაც შეეხება სამუშო ძალის დასაქმების სტრუქტურას, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა პოსტ-ინდუსტრიულ სახელმწიფოთა რიგს განეკუთვნება, სამუშაო ძალის ძირითადი ნაწილი მომსახურების სფეროზეა კონცენტრირებული. 2015 წლის მონაცემით, მოსახლეობა, ყველაზე ნაკლებად სასოსფლო-სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული, რაც ცხადია ქვეყნის რელიეფით და ბუნებრივი პურობებითაა განპირობებული. რაც შეეხება მრეწველობას, აქ თავს იყრის სამუშაო ძალის თითქმის 1/5.

დიაგრამა #4



(წყარო: CIA. The World Factbook. Switzerland. Economy. Labor Force-By Occupation. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#economy)

[32] The World Bank. Switzerland. Unemployment. Male. Female. https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.MA.NE.ZS?locations=CH (23/05/23)

[33] European Commission. Eurydice. Switzerland. Political, Social and Economic Background and Trend. Employment, Unemployment. Last Update:23/06/22 https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/switzerland/population-demographic-situation-languages-and-religions (23/05/22)

მოყვანილი დიაგრამა კიდევ ერთხელ ცხადყოფს შვეიცარიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ტრენდებს. მისმა გეოგრაფიულ მდებარეობამ და კომპლექსური ბუნებრივი პირობების არსებობამ, ქვეყანაში ხელი შეუწყო მომსახურების სფეროს მასობრივ განვითარებას. ამასთან, შეზღუდული რესურსების პირობებში, შეძლებისდაგვარად ვითარდებოდა მრეწველობა, ხოლო სოფლის მეურნეობა, ქვეყნის რელიეფიდან გამომდინარე შეზღუდულია. რაც შეეხება თითოეული მათგანის სექტორულ ანალიზს და კლასიფიკაციას, ამაზე შემდეგ თავებში ვისაუბრებთ.

4.5 ურბანიზაცია

გეოგრაფიულად, ცენტრალურ ევროპაში შვეიცარიის მდებარეობამ, ისტორიულად განაპირობა სატრანზიტო ქალაქების შექმნა, რის მიზეზიც ქვეყნის სატრანსპორტო ქსელის განვითარება იყო. ქვეყნის რთულმა რელიეფმა და ბუნებრივმა პირობებმა, მოსახლეობა აიძულა მთიწინეთიდან, მთაშორის ბარში-ცენტრალურ პლატოზე ჩამოსულიყო, აღნიშნულმა კი საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო მოსახლეობის გეოგრაფიულ დაახლოებას და განვითარებულ ქალაქებში მათ კონცენტრაციას. 2023 წლის მონაცემის მიხედვით, ურბანიზაციის დონემ შვეიცარიაში 74.2% შეადგინა. მოსახლეობის ¾ ნაწილი ქალაქებსა და საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს. უდიდესი ქალაქებია: ზიურიხი-1,4მლნ და ბერნი-0.44მლნ მოსახლით.[34] ასევე მნიშვნელოვან ურბანულ დასახლებებს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დედაქალაქებს წარმოადგენენ: ბაზელი, ჟენევა, აარაუ, ლოზანი, ლუცერნი,სენკტ-გალენი,ფრიბურგი და სხვა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით, მომავლაში შვეიცარიის ურბანიზაციის დონე კვლავ გაიზრდება. 2021 წლის მონაცემის მიხედვით, ქვეყანაში მოსახლეობის საშუალე სიმჭიდროვემ კმ^2-ზე მთელ ტერიტორიაზე 215 ადამიანი შეადგინა, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებლი ცენტრალურ პლატოზე 400 ადამიანი იყო.[35]

[34] The World Fact Book. Switzerland. People & Society. Urbanization. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (23/05/23)
[35] The Federal Council of Switzerland. Discover Switzerland. Society. Population. Urban & Rural Areas. https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/gesellschaft/bevoelkerung/stadt-und-land.html (23/05/23)

თავი 5. მეურნეობის ზოგადი დახასიათება

5.1 მეურნეობი განვითარების ძირითადი ტრენდები

მეოცე საუკუნის მეორე ნახვერიდან მოყოლებული, შვეიცარიის ეკონომიკა სისტემატიურად იზრდებოდა და 2021 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 800,64 მლრდ. $ შეადგინა. 1980 წლიდან შვეიცარიის მშპ თითქმის 8-ჯერ გაიზარდა. დღესდღეობით შვეიცარია, მშპ-ს მოცეულობით ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოს ქვეყნების ათეულშია და მეცხრე ადგილს იკავებს, ჩამორჩება: ლუქსემბურგს, ლიხტენშტეინს, ირლანდიას, ყატარს, მონაკოსა და სინგაპურს. შვეიცარიის ეკონომიკის და მეურნეობის განვითარების ტრენდებზე მიუთითითებს, ქვეყნის მშპ-ს ზრდის ტემპები. 2021 წლის მონაცემით მშპ-ს ზრდამ პროცენტულობაში 4.22% შეადგინა[36], რაც წინა 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 6% ით მეტია. 2020 წელს კოვიდ-19 პანდემისგან გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის კომპენსირებას, შვეიცარიამ პოსტ-პანდემიურ პერიოდში კარგად გაართვა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მეურნეობის ¾ ნაწილი მომსახურების სფეროზე მოდის, ქვეყანამ ადვილად შეძლო პანდემიით გამოწვეულ, გამოწვევებთან ადაპტაცია და გამკლავება, რამაც თავის მხრივ ქვეყნის ნომინალური მშპ-ის შენარჩუნება განაპირობა.

ისტორიის განმავლობაში, შვეიცარიის მეურნეობის განვითარებას განაპირობებდა გეოგრაფიულ-ბუნებრივი ფაქტორები. ქვეყანაში ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეულის შეზღუდულმა რაოდენობამ, ხელი შეუწყო ურბანიზაციას და მომსახურების სფეროს განვითარებას. როგორც მოგეხსენებათ, შვეიცარია ცენტრალურ ევროპაში, ევროპის უდიდეს, წამყვან სახელმწიფოებს ესაზღვრება. აღნიშნულით ისარგებლა შვეიცარიის მოსახლეობამ და განავითარა საერთაშორისო სავაჭრო და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო გზები. ტურიზმის განვითარებას შეუწყო ხელი ქვეყანაში არსებულმა გეოგრაფიულმა ლანდშაფტებმა.[37] სოფლის მეურნეობის თვალსაზრით, მცირე რაოდენობით წარმოდგენილია: სიმინდი, ხორბალი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ქერი, ვაშლი, ყურძენი. აგრეთვე აწარმოებენ რძის პროდუქტებს, ღორისა და საქონლის ხორცს.

[36] CIA. The World Factbook. Switzerland. Economy. Real GDP growth rate. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#economy (24/05/23)

[37] Britannica. Geography & Travel. Countries of the World. Switzerland. Economy. https://www.britannica.com/place/Switzerland/Demographic-trends#ref256992 (24/05/23)

რაც შეეხება მრეწველობასა და მომსახურების სფეროს, ქვეყანაში არსებობს: საათების, ფარმაცევტული პროდუქტების, ქიმიური, ტექსტილის, ზუსტი გამოყენებისა ინსტრუმენტებისა და სამანქანო ნაწილების ინდუსტრიები.საკმაოდ მაღალია ინდუსტრიული წარმოების პროდუქციის ზრდის ტემპი, რამაც 2021 წლის მონაცემით 7.91% შეადგინა.[38] ქვეყნის მეურნეობის უდიდესი ნაწილი კი მომსახურების სფეროს უკავია, რაც აერთიანებს: ტურიზმს, საბანკო-საფინანსო სექტორს, დაზღვევას და სხვა მომსახურების მიმართულებებს.[39]

რუკა #5-#6

მოყვანილი რუკებიდან ნათლად ჩანს მეურნეობის გეოგრაფიული დანაწილება. მეურნეობის აგრარული სექტორი, ბუნებრივი პირობების შესაბამისად, ძირითადად წარმოდგენილია მთისწინესა და მთათაშორის ბარში. რაც შეეხება ინდუსტრიას, ქვეყნის ძირითადი სამრეწველო ცენტრები, დიდ ქალაქებსა და ურბანულად განვითარებულ ტერიტორიებზეა კონცენტრირებული.



(წყარო: Federal Statistical Office of Switzerland. Catalogues & Databases. Maps. Agricultural & Industrial Areas. Downloaded PGN. https://www.bfs.admin.ch/bfs/en/home/statistics/catalogues-databases/maps.assetdetail.20024728.html)

[38] CIA. The World Factbook. Switzerland. Economy. Industrial Production growth rate. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#economy (24/05/23)
[39] CIA. The World Factbook. Switzerland. Economy. Agricultural products % Industries. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#economy (24/05/23)

შვეიცარიის მეურნეობის მდგრადობასა და ეკონომიკის ზრდის ტენდენციებზე, ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმპორტი და ექსპორტი. 2021 წლის მონაცემებით, ქვეყნას საგარაო ვაჭრობის დადებით სალდო გააჩნდა, უფრო კონკრეტულად კი, ქვეყნაში ნაწარმოები პროდუქციის (ოქრო, მედიკამენტები, საათები, ძვირფასეულობა) ექსპორტით მიღებული შემოსავალი-571,376 მლრდ $, აღემატებოდა ქვეყნაში იმპორტული საქონელის საერთო ღირებულებას-480,522 მლრდ $. მნიშვნელოვანია, ის ფაქტიც, რომ შვეიცარიული ნაწარმის იმპორტით ისეთი დიდი ქვეყნები და შესაბამისად ბაზრები ინტერესდებიან, როგორებიცაა: გერმანია-16%, აშშ-14%, დიდი ბრიტანეთი-8%, ჩინეთი-7%, საფრანგეთი-6%, იტალია-5%.[40]

5.2 მშპ სტრუქტურა

შვეიცარიის ეკონომიკური განვითარების კურსის შესაბამისად, განსხვავებულია მისი მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება სექტორების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი გარკვეულწილად დივერსიფიცირებულია, შეინიშნება კონკრეტული მიმართულებით მშპ-ს კონცენტრაცია. რამდენადაც წინა პარაგრაფებიდან შევიტყვეთ, 2021 წლის მონაცემის მიხედვით შვეიცარიის მშპ-ს მოცულობამ-800,64 მლრდ $ შეადგინა, რაც ევროკავშირის წევრი, ავსტრიის მაჩვენებელზე-480.37მლრდ$ თითქმის 2-ჯერ მეტია. იმავე წყაროზე დაყრდნობით მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით მშპ-ს მოცულობა 2021 წლისთვის-618,23 მლრდ $ იყო. იმავე წლის მონაცემის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობა-91,996,6 აშშ $ შეადგინა.[41] ამ მიმართულებით შვეიცარია ევროპის განვითარებული სახელმწიფოთა სათავეშია (თუ არ ჩავთვლით მოსახლეობით ბევრად ნაკლები რაოდენობის მქონე ლიხტენშტეინსა და ლუქსემბურგს.) და კიდევ სხვა ბევრი ინდიკატორის მიხედვით, თითქმის ყველა მაღალგანვითარებულ ევროპულ სახელმწიფოს უსწრებს.

რაც შეეხება შვეიცარიის მთლიანი შიდა პროდუქტის სხვადასხვა ასპექტის ზრდის ტენდენციებსა და დინამიკას იგი შემდეგნაირია:

[40] CIA. The World Factbook. Switzerland. Economy. Export & Export Partners. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#economy (24/05/23)
[41] The World Bank. Data. Switzerland. GDP-per Capita. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=CH (24/05/23)

დიაგრამა #5



(წყარო: The World Bank. Data. Swizterland. GDP. GDP-PPP. GDP-LCU.
https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.PP.CD?end=2021&locations=CH&start=2000)

დიაგრამა #6



(წყარო: The World Bank. Data, Switzerland. GDP & GDP per Capita growth rate.
https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG?end=2021&locations=CH&start=2000)

ზემოთ მოყვანილი დიაგრამების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 2000 წლიდან მოყოლებული, შვეიცარიის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, თითქმის ყველა ასპექტში, სისტემატიურ ზრდას განაგრძობს და მეტად სავარაუდოა, რომ მომავალშიც ეკონომიკური განვითარების და ეროვნული სიმდიდრის დაგროვების მსგავსი ტენდენციები შენარჩუნდეს. პროცენტული მახასიათებლების მიხედვით, 2000 წლიდან მოყოლებული, საერთო მშპ-ის და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდის ტემპები აშკარად მცირდებოდა და უკიდურეს წერტილს -3% 2020 წელს, კოვიდ-19 პანდემიის დროს მიაღწია. თუმცაღა აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში, შვეიცარიამ საკმაოდ კარგად შეძლო გამოწვევებთან გამკლავება და ნახსენები „ჩავარდნა“ მალევე დააკომპენსირა. აღნიშნულში თავის მხირვ ქვეყანას, განვითარებული და ადაპტირებადი მომსახურების სფეროს არსებობა დაეხმარა. რაც შეხეება მთლიანი შიდა პროდუქტის სექტორულ დაყოფასა და მის გამოყენების მიხედვით დიფერენციაციას, სურათი შემდეგნაირია:

დიაგრამა #7



(წყარო: Statista. Economy & Politics. International. Switzerland: Distribution of gross domestic product (GDP) across economic sectors from 2011 to 2021. https://www.statista.com/statistics/375615/switzerland-gdp-distribution-across-economic-sectors/)

დიაგრამა #7, კიდევ ერთხელ ნათლად ასახავს შვეიცარიის, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მეურნეობის ხასიათს. 2011 წლიდან მოყოლებული, თითქმის ერთნაირი თანაფარდობით ნაწილდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, მომსახურების სფეროს, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის.

დიაგრამა #8



(წყარო: CIA. The World Factbook. Switzerland. Economy. GDP - composition, by end use. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#economy)

თავი 6. მეურნეობის სექტორული ანალიზი

6.1 პირველადი სექტორი

მეურნეობის პირველად სექტორი შვეიცარიაში, რამდენადაც წინა თავებიდან შევიტყვეთ, ძირითადად სოფლის მეურნეობის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც თავის მხირვ ქვეყნის მეურნეობის საერთო სისტემაში ყველაზე მცირე ნაწილი 1-3% უკავია. სოფლის მეურნეობის პრიველად სექტორში, წარმოდგენილია: მარცვლეული კულტურები, ძირითადად ხორბალი, ასევე მცირე რაოდენობით ქერი და შვრია. ხილის სახით, ქვეყანაში მოჰყავთ: მსხალი, ბალი, მცირე რაოდეობით კივი, გარგარი, რომლის

წარმოების დაახლოებით 97% ვალაისის კანტონზე მოდის.[42] ასევე ყველაზე პოპულარული ხილია ვაშლი, რომელის მოხმარებაც შვეიცარიაში ყოველწლიურად იზრდება და ერთ სულ მოსახლეზე ყოველწლიურად დაახლოებით 16კგ ვაშლს შეადგენს. [43] რაც შეეხება ბოსტნეულს, ქვეყანაში წარმოდგენილია: სტაფილოს, პომიდორის, კარტოფილის და ასევე სოკოს მეურნეობები. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მეცხოველეობას (მეძროხეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა და მეცხენეობა) ძირითადად კი რძის პროდუქტების წარმოებას(რძე, ყველი). ოფიციალური მონაცემით, 2015 წელს, სოფლის მეურნეობიდან მიღებული სარგებელის (10,1 მლრდ შვეიცარული ფრანკი) ნახევარი, სწორედ მეცხოველეობაზე და რძის პროდუქტების წარმოებაზე მოდიოდა. [44] ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და პირობების გათვალისწინებით, შვეიცარიაში საკმაოდ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი მეთევზეობა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანას ზღვაზე გასავლელი არ აქვს, შესაბამისად დაბალია თევზჭერის მაჩვენებელი საერთო სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე-2.4%.[45] მცირე რაოდენობით მაგრამ მაღალი ხარისხით გამოირჩევა ქვეყანაში არსებული მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება, გეოგრაფიული პირობები:სუფთა ჰაერი, ალპური მდელოები და სუფთა წყალი, საუკეთესოა მაღალი ხარისხის თაფლის საწარმოებლად. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობას დაბალი წილი უჭირავს, შესაბამისად დაბალია მისი ეკონომიკური მომგებიანობა. აქედან გამომდინარე, შვეიცარიაში ნაწარმოები სასოფლო-სამეურნო პროდუქტის უმრავლესობა ძირითადად შიდა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და მას არ გააჩნია ეკონომიკური სარგებელი, თუ არ ჩავთვლის ექსპორტზე გასატანად განკუთვნილ: რძის პროდუქტებსა და თაფლს. უკანასკნელ ათწლეულებში, შვეიცარიაში შეინიშნება, სოფლის მეურნეობის შემცირების ტენდენციები. უფრო კონკრეტულად კი, 2005-2015 წლებში, სოფლის მეურნეობის, ბიზნესის რაოდენობა 64,000-დან 53,000-მდე შემცირდა.[46] სოფლის მეურნეობის კლების

[42] Swiss Farmers official Website. Knowledge & Facts. Food. Fruit, Berries & Nuts. https://www.swiss-farmers.ch/knowledge-and-facts/food/fruit-berries-nuts/ (16/06/23)
[43] Swiss Farmers official Website. Knowledge & Facts. Food. Fruit, Berries & Nuts. https://www.swiss-farmers.ch/knowledge-and-facts/food/fruit-berries-nuts/ (16/06/23)
[44] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Agriculture. Last Update: 27/11/2017 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/landwirtschaft.html (16/06/23)
[45] Swiss Farmers official Website. Knowledge & Facts. Food. Fish. Swiss Fish- an emerging niche. https://www.swiss-farmers.ch/knowledge-and-facts/food/fruit-berries-nuts/ (16/06/23)
[46] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Agriculture. Last Update: 27/11/2017 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/landwirtschaft.html (16/06/23)

ტენდენციებზე მიუთითებს ასევე ის ფაქტი, რომ 1990 წლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის პროცენტული მდგენელი ქვეყნის მშპ-ში, 2.1%-დან 0.6%-მდე ჩამოქვეითდა.[47] ყოველივე კი დაკავშირებულია ქვეყანაში მომსახურების სექტორის მზარდ ტენდენციებთან. რაც შეხება ქვეყანაში სამთო-მოპოვებით საქმიანობას, ისტორიულად, შვეიცარიის ეკონომიკის განვითარებაში, ძალზედ მცირე როლს თამაშობდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობა. ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და რესურსებიდან გამომდინარე, აღნიშნული შეზღუდული იყო ყოველთვის. წარსულში, ქვეყნაში არსებობდა: რკინის, ნიკელ-კობალტის, ვერცხლისა და ოქროს, ასევე მცირე რაოდენობით სპილენძის საბადოები. დღეს-დღეობით უმეტესი მათგანი ამოწურულია, ხოლო ახალი საბადოების სამთო-მოპოვებითი საქმიანობა კი ეკოლოგიური გამოწვევის შესაბამისად შეჩერებულია. მინერალების სახით, მოიპოვებდნენ: ქვიშას, თიხას, ჰიდრავლიკურ ცემენტს, ხრეშს, თაბაშირს, მარილს, გოგირდს და სხვა[48]. თუმცაღა თანამედროვეობაში, აღნიშნული საქმიანობაც მეტ-ნაკლებად შემცირებული ან შეჩერებულია, რაც დაკავშირებული შვეიცარიის მთავრობის პოლიტიკასთან გარემოსდაცვით საკითხებში და ეკოლოგიურ პრობლემებთან.

6.2 მეორადი სექტორი

განსხვავებით პირველადი სექტორისა, შვეიცარიის ეკონომიკაში მეორადი სექტორი ბევრად მაღალი მოცულობითი წილით და სხვადასხვა მიმართულებითაა წარმოდგენილი. დარგობრივი კუთხით, ქვეყანაში არსებობს: ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობა, მანქანა-დანადგარების, ელექტრონული-საინჟინრო და მეტალის მრეწველობები, ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, საათების ინდუსტრია. რაც შეეხება თითოეულ მათგანს, 2020 წლის მონაცემით, ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობა ქვეყნის მშპ-ს 6.3% შეადგენდა, რაც მოცულობით მხოლოდ სამანქანო და ელექტრო-საინჟინრო ინდუსტრიას ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორედ ქიმიურ და ფარმაცევტულ

[47] The World Bank. Data. Switzerland. Agriculture, forestry, and fishing, value added (% of GDP). https://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS?locations=CH (16/06/23)
[48] Nations Encyclopedia. Europe. Switzerland. Mining. https://www.nationsencyclopedia.com/Europe/Switzerland-MINING.html (16/06/23)

მრეწველობაზე მოდიოდა ექსპორტის ნახევარზე მეტი-52%.[49] დღესდღეობით შვეიცარიაში ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობის ძირითად აქტორებს, რამდენიმე მსხვილი კომპანია წარმოადგენს: „ნოვარტისი“, „ჰოფმან-ლა როში“, „ტრინსეო ევროპა“, „ესტრი ლაუდერი“, „სილაგი“ და „სელგენ ინტერნაციონალი“[50], რომლებიც გაყიდვების მიხედვით, მსოლფიოს უდიდეს კომპანიებს შორის არიან. შვეიცარიის უდიდეს სამრეწველო მიმართულებას, მანქანების, ელექტრო-ტექნიკური მოწყობილებებისა და მეტალის ინდუსტრია წარმოადგენს. აღნიშნული სფეროს განვითარება მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც საჭირო გახდა ტექსტილისა და მასთან დაკავშირებული მრეწველობების მექანიზაცია. შვეიცარიამ ამ მიმართულებით, ხაზგასასმელ პროგრეს მიაღწია და 2015 წელს, ნაწარმოები პროდუქციის ექსპორტმა 31% შეადგინა[51], ეს ყველაფერი მაშინ, როცა მშპს-ს მოცულობით, მრეწველობის დარგში აღნიშნული მიმართულება პირველ ადგილზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინდუსტრიაში შემავალი კომპანიების დაახლოებით 99%, მცირე და საშუალო ბიზნესს აერთიანებს, სადაც თითოეულ კომპანიაში დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 250-ს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, შვეიცარია, სამანქანო დანადგარებისა და ელექტრო-საინჟინრო მოწყობილობების, აბსოლიტური მაჩვენებლით მსოფლიოს 10 უმსხვილეს ექსპორტიორთა შორისაა.[52] შვეიცარიის მრეწველობაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ქვეყანაში არსებულ საათების ინდუსტრიას, რითაც შვეიცარია მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულია. თვისობრივად მის გამორჩეულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თანამედროვეობაში, სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის მიუხედავად შვეიცარია საათების N1 ექსპორტიორი სახელმწიფოა, მართალია ქვეყნის შიგნით, მშპ-ს მოცულობაში საკმაოდ დაბალი-1.5%-იანი წილი უჭირავს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს ქვეყანას და

[49] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Chemical & Pharmaceutical Industry. Last Update: 01/03/22 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/chemie-und-pharma.html (16/06/23)

[50] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Chemical & Pharmaceutical Industry. Major Players. Last Update: 01/03/22 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/chemie-und-pharma.html (16/06/23)

[51] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Machine, electrical engineering and metals industry. Last Update: 27/11/2017 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/maschinen---elektro--und-metallindustrie.html (16/06/23)

[52] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Machine, electrical engineering and metals industry. Last Update: 27/11/2017 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/maschinen---elektro--und-metallindustrie.html (16/06/23)

სასაათო ინდუსტრიის კომპანიებს, იყვნენ გლობალური აქტორები. უკანასკნელ ათწლეულებში, შვეიცარიის სასაათო ინდუსტრიის მოცულობა, პერმანენტულად იზრდებოდა და 2015 წელს, საათების ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლამა 21.5 მლრდ. შვეიცარული ფრანკი შეადგინა, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 1986 წელს, 4,3 მლრდ. შვეიცარულ ფრანკს შეადგენდა.[53] დღესდღეობით შვეიცარია კვლავაც ინარჩუნებს მსოფლიო მაშტაბით, საათების ექსპორტით მოწინავე ადგილს, რაშიც თავის მხრივ ისეთი ბრენდული კომპანიები მონაწილეობენ, როგორებიცაა: „სვოჩ გრუფი“, „როლექსი“, „კარტიერი“, „ომეგა“, „ტისოტი“ და მრავალი სხვა. გეოგრაფიული განაწილების მიხედვით, შვეიცარიის სამრეწველო ცენტრები, ძირითადად წარმოდგენილია, მოსახლეობის სიდიდით გამორჩეულ, ურბანულ დასახლებებთან, სადაც სამუშაო ძალის კონცენტრირება შეინიშნება. ესეთებია: ჟენევა, ბაზელი, ციურიხი, ლოზანი, ლუცერნი და მათ შორის, დედაქალაქი ბერნი.

6.3 მესამეული/მეოთხეული სექტორი

შვეიცარიის მეურნეობის ¾ წილი, მომსახურებასა და მასთან დაკავშირებულ სერვისებზე მოდის. შვეიცარიის ეკონომიკაში მესამეული და მეოთხეული სექტორი წარმოდგენილია: ტურიზმის, სასაქონლო-საცალო ვაჭრობის, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელების, მედიის, განათლებისა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საბანკო-საფინანსო საქმიანობის სახით. რაც შეეხება თითეული მათგანის მიმოხილვას. მომსახურების სფეროში, საბანკო-საფინანსო დარგის შემდეგ, ქვეყნის მეურნეობის მესამულ/მეოთხეულ სექტორში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ტურიზმის ინდუსტრიას, სადაც ოფიციალური მონაცემების მიხედვით, სამუშაო ძალის 4%-ია თავმოყრილი.[54] ქვეყანაში არსებულმა, ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა, ტურიზმის განვითარება განაპირობა. ალპური მდელოებით, სუფთა ჰაერით, ტყეებით, მთებითა და ტბებით გამორჩეული შვეიცარია, ტურისტებისთვის ერთ-ერთი მოთხოვნადი ადგილია,

[53] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Watchmaking Industry. Origins & Development. Last Update: 27/11/2017
https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/uhrenindustrie.html
(16/06/23)

[54] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Tourism. Last Update: 27/11/2017
https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/tourismus.html
(18/06/23)

რომელიც ტურისტებს არამხოლოდ რეგიონიდან, არამედ მთელი მსოფლიოდან იზიდავს. მაგალითად 2015 წელს, შვეიცარიის ტურისტული სერვისებით,გერმანისთან ერთად (4მლნ. ვიზიტორი), აზიური ქვეყნების მოსახლეობამაც აქტიურად ისარგებლა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (0.9მლნ), ჩინეთიდან (1,4მლნ.) ინდოეთიდან (0.6მლნ.)[55] გეოგრაფიულად, ტურისტული ატრაქციები უმეტეს შემთხვევაში წამორდგენილია, ქვეყნის სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ ნაწილებში, ალპებისა და იურას მთებში, ციურიხის, გრაუბადენის, ბერნისა და ვალეს კანტონებში.

სასაქონლო-საცალო ვაჭრობის მხრივ, შვეიცარიას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მთელს მსოფლიოში. აღნიშნული მიმართულება, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ზრდას განაგრძობდა და 2017 წლის მონაცემით, საქონლის ვაჭრობიდან მიღებულმა შემოსავალმა 25მლრდ. შვეიცარული ფრანკი შეადგინა.[56] თანამედროვეობაში, შვეიცარია, სასაქონლო ვაჭრობის, მსოფლიო ცენტრებს შორის ერთ-ერთია და გამოირჩევა ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების ვაჭრობით, როგორებიცაა: ნავთობი და სანავთობო პროდუქტები, ლითონები, მინერალები და სოფლის მეურნეობის პროდუქტები. რაც შეეხება საცალო ვაჭრობას, ამ მხრივ ქვეყანაში დომინირებს, ორი კოორპერატივი: „მიგროსი“ და „კოოპი“, რომელზედაც, შვეიცარიის საცალო ვაჭრობის ბაზრის, თითქმის 70% მოდის. აღნიშნულთან ერთად, საცალო-სავაჭრო ბაზრაზე, მცირე მაგრამ თავის მხრივ გამორჩული ადგილი უჭირავს, უცხოური „ლიდლის“ და „ალდის“ ქსელებს, რომელთა პროცენტული წილი საერთო ბაზარზე 2.8% არ აღემატება.[57]

შვეიცარიაში, მრავალეთნიკური და შესაბამისად მულტილიგვისტური მოსახლეობის არსებობამ, განაპირობა მედიის განვითარება. ქვეყანაში წარმოდგენილია, რამდენიმე მსხვილი მედია კომპანიები, რომლებიც, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულებისა შესაბამისად მუშაობენ. მაგალითად გერმანულენოვან კანტონებში, მედია ბაზრის უდიდესი ნაწილი- 29%, SRF უკავია, მაშინ როცა ფრანგულენოვან კანტონებში, RTI ლიდერობს 28%-ით, ხოლო იტალიურენოვან რეგიონებში-RSI, ბაზრის მოცულობითი

[55] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Tourism. Last Update: 27/11/2017 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/tourismus.html (18/06/23)

[56] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Commodities Trade. Last Update: 05/06/2020 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/rohstoffhandel.html (18/06/23)

[57] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Retail. Last Update: 27/11/2017 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/detailhandel.html (18/06/23)

წილით-28%.[58] ბეჭდური მედიის სახით, შვეიცარიაში არსებობს: 336 გერმანულენოვანი, 59 ფრანგულენოვანი, 11 იტალიურენოვანი და 2 რომანულენოვანი ჟურნალ-გაზეთი. ამ მხრივ ბაზარზე, ერთგვარ მონოპოლიას ფლობენ ორი უდიდესი კომპანია: „ტამედია“ და „რინჟიერი“, რომლებიც დაფუძნებულია ქალაქ ციურიხში. შვეიცარიის მეურნეობის, მესამული/მეოთხეული დარგში მთავარი კონტრიბუტორი, საბანკო-საფინანსო და სადაზღვევო სექტორია. ისტორიულად, შვეიცარიის პოლიტიკურმა კურსმა და საერთაშორისო ნეიტრალურმა სტატუსმა, ქვეყანაში განაპირობა აღნიშნული სექტორის განვითარება და დღესდღეობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე და კონკურენტუნარიანი საფინანსო ცენტრია. თავის მხრივ საფინანსო მიმართულების მდგენელი, ბანკები და სადაზღვევო კომპანიები არიან, რომელთა წილი ქვეყნის მშპ-ში დაახლოებით 10%.[59] მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო სექტორი, შვეიცარიის შიდა ეკონომიკის ქვაკუდხედს წარმოადგენს, მისი ძირითად ორიენტაცია მაინც საგარეო ვაჭრობასა და ექსპორტზეა მიმართული, ამ მხირვ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2019 წლის მონაცემების მიხედვით, მომსახურების სერვისების ექსპორტის დაახლოებით ¼ -24% სწორედ ზემოაღნიშნულზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში 250-მდე ბანკია, დღესდღეობით ბაზრის 50% ორი უმსხვილესი ბანკის: „კრედიტ სუისი“ და „იუბიეს“ ხელშია მოქცეული.[60] აღნიშნული და სხვა მრავალი შვეიცარული ბანკები, ძირითადად ქალაქ: ჟენევაში, ციურიხში და ლუგანოში იყრიან თავს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს შვეიცარიის სადაზღვევო სექტორი, რომელსაც მსგავსად საბანკო მიმართულებისა, არანაკლები კონტრიბუცია აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. 2019 წლის მონაცემით, შვეიცარიაში სადაზღვევო კომპანიების ინვესტიციებიმა 570 მლრდ. შვეიცარული ფრანკი შეადგინა,[61] საიდანაც უდიდესი წილი, ქვეყნის უმსხვილეს სადაზღვევო კომანია-„ციურიხის სადაზღვევო ჯგუფზე“ მოდის. გარდა აღნიშნულისა, ქვეყანაში 200-მდე სადაზღვევო კომპანიაა,

[58] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Media. Television & Radio. Last Update: 19/06/2018 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/taetigkeitsgebiete/medien.html (18/06/23)
[59] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Banks and insurance companies. Last Update: 23/11/2021 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/finanzplatz/banken-und-versicherungen.html (18/06/23)
[60] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Banks and insurance companies. Last Update: 23/11/2021 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/finanzplatz/banken-und-versicherungen.html (18/06/23)
[61] The Federal Council of Switzerland. Economy. Sectors. Banks and insurance companies. Swiss insurance companies generate three quarters of their premiums abroad. Last Update: 23/11/2021 https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home/wirtschaft/finanzplatz/banken-und-versicherungen.html (18/06/23)

რომელთაგან სიდიდით გამოირჩევა: „ჩუბბი“ და „სვის ლაიფი“.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, შვეიცარიის მეურნეობის მესამული/მეოთხეული სექტორის ერთ-ერთ მნიშვენლოვან ასპექტს, ჯანდაცვა და განათლება წარმოადგენს. 2020 წლის მონაცემით, მშპ-ს 5.2% განათლების ხარჯებზე მოდიოდა.[62] ისტორიულად შვეიცარიაში, მოსახლეობის განათლების შესახებ უფლებები, ჯერ კიდევ 1874 წლის კონსტიტუციით იყო გარანტირებული, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ქვეყანაში, პირველ რიგში კი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განათლების განვითარებას. მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური განსხვავებების შესაბამისად, შვეიცარიაში სახელმწიფო სკოლებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად, ერთი-ორად ვითარდებოდა კერძო სკოლები თუ უნივერსიტეტები, რაც თავის მხრივ შეესაბამებოდა ამა თუ იმ რეგიონისა და მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტურ მოთხოვნილებებს. დღესდღეობით შვეიცარიაში, მრავალი საერთაშორისო დონის უნივერსიტეტი და სასწავლებელია, რომელთაგან გამოირჩვა: ციურიხის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ბაზელის უნივერსიტეტი, აგრეთვე, ბერნის, ჟენევისა და ლოზანის უნივერსტიტეტები, რომლებიც სათავეს ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან იღებენ. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს, 2020 წლის მონაცემის მიხედვით, ჯანდაცვის ხარჯებმა მშპ-ს 11.8% შეადგინა,[63] რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, აღნიშნულში თავის მხრივ გარკვეული წვლილი შეაქვს, განვითარებულ სადაზღვევო სისტემას, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. შვეიცარიაში, ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სერვისები, ფედერალური ქვეყნებისათვის დამახსიათებელი გზით განვითარდა, უფრო კონკრეტულად კი: ჯერ ადგილობრივ დონეზე კომუნებში, შემდგომ რეგიონალურ დონეზე კანტონებში და ბოლოს ფედერალურ დონეზე მთლიანად სახელმწიფოში. ქვეყანაში განვითარებული ჯანდაცვის სისტემის არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ შესაძლებელია მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურების მიღება, ამასთან მაღალია ხარჯები კონკრეტული მიმართულებით და რაც მთავარია არსებობს, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის და სიცოხლის მოსალოდნელი ასაკის მაღალი მაჩვენებლები. ყოველივე ნახსენები კი კიდევ ერთ აღიარებას ჰპოვებს, ქვეყნის განვითარების

[62] CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Education Expenditures. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (18/06/23)

[63] CIA. The World Factbook. Switzerland. People & Society. Current health expenditure. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/#people-and-society (18/06/23)

ინდექსებში, მათ შორის ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით, რაც აერთიანებს, ჯანდაცვას, განათლებასა და სოციალურ გარემოს.

თავი 7. გლობალური ინდექსები

7.1 ჰუმანური განვითარების ინდექსი

შვეიცარიაში, სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობას და სოციალური კეთილდღეობის არსებობას, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, ქვეყნის ჰუმანური განვითარების ინდექსი. ამ მხრივ, შვეიცარია დღესდღეობის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორისაა და პირველია აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით. 2022 წლის მონაცემებით, შვეიცარიამ ისტორიაში პირველად შეძლო 0.962 ქულის[64] მოპოვება და ამით მსოფლიოს ქვეყნებს შორის პირველი ადგილის დამკვირდება. ამ მაჩვენებლით, იგი უკან ჩამოიტოვებს, საკნდინავიის, სოციალურად განვითარებულ ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა: ნორვეგია, შვედეთი, დანია. ამასთანავე, შვეიცარია პირველია მის მეზობელ ქვეყნებშიც, მაგ: გერმანია-0.942, საფრანგეთი-0.903, ავსტრია-0.916, იტალია-0.895. პლუს ამას არამხოლოდ ჰუმანური განვითარების ინდექსის, არამედ ბევრი სხვა მაჩვენებლის მიხედვითაც, რასაც შემდეგ ნაწილში შევეხებით. ისტორიულად, შვეიცარია ყოველითვის გამოირჩეოდა, HDI-ის (Human Development Index) მაღალი მაჩვენებლებით, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ქვეყანა მოიაზრებოდა როგორც ერთ-ერთი მაღალგანვითარებული. მაგალითად 2000 წელს, იგივე იდექსი, 0.887 იყო. მას შემდეგ მოყოლებული, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილური დონე, ავტომატურად განაპირობებდა HDI-ს ზრდას. 1990-2021 წლებში, HDI-ს საშუალო ზრდის მაჩვენებლმა-0.4 შეადგინა. მომავალში, თუ გავითვალისწინებთ, შვეიცარიის HDI-ს ზრდის ტემპებს, მოსალოდნელია, რომ სწორედ შვეიცარია გახდება ის პირველი სახელმწიფო, რომლის ქულაც 1.00 შეადგენს, რადგანაც, ქვეყანაში არსებული: მაღალი ხარისხის ჯანდაცვა, მაღალი დონის სოციალური

[64] World Population Review. Top 10 Countries with the Highest Human Development Index (HDI) – 2022. https://worldpopulationreview.com/country-rankings/hdi-by-country (20/06/23)

მომსახურება, სოციალური სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობა, განათლება, ეკონომიკა, ენერგია, ეროვნული სიმდიდრე და მისი განაწილება მოსახლეობას შორის, თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის ადამიანური განვითარების მაღალ ტემპს.

7.2 სხვა ინდექსები

წინა პარაგრაფში განხილულ, ჰუმანური განვითარების ინდექსთან ერთად, ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დონეზე, ასევე მიანიშნების ისეთი ინდექსები, როგორებიცაა: დემოკრატიის და თავისუფლების ინდექსები, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, გლობალიზაციის ინდექსი, ბედნიერებისა და კორუფციის აღქმის ინდექსები, ამ მხრივაც შვეიცარია არ ღალატობს საკუთარ პრინციპებს და თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებლებში მოწინავე ადგილზეა. რაც შეეხება თითოეული მათგანის მიმოხილვას. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის, ერთ-ერთ საპასუხისმგებლო და მნიშველოვან ინდექს წარმოადგენს: დემოკრატიის და თავისუფლების მაჩვენებელი. 2020 წლის მონაცემის მიხედვით, შვეიცარია დემოკრატიის ინდექსით-0.934 მსოფლიოს ქვეყნებს შორის, მე-6 ადგილს იკავებდა.[65] ამ მონაცემით, იგი ჩამორჩებოდა მხოლოდ, გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებს (დანია, შვედეთი, ნორვეგია). თავისუფლების ინდექს რაც შეეხბა, 2016 წლიდან მოყოლებული, თვისუფლების ინდექსი შვეიცარიაში პრაქტიკულად არ შეცვლილა და 2023 წელსაც 96/100 ქულა შეადგინა, სადანაც 39/40 ქულა პოლიტიკურ უფლებებს, ხოლო 57/60 ქულა,[66] სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს ეკავა. გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, 2020 წელს, შვეიცარიის ქულამ 91/100 შეადგინა,[67] რაც თითქმის იგივეა რაც წინა წლების მაჩვენებლები. რაც შეეხება კორუფციას, ალბათ ლოგიკურია, რომ სოციალურად ისეთ განვითარებულ სახელმწიფოში როგორიც შვეიცარიაა, კორუფციის დაბალი მაჩვენებელი არის ის რასაც მოველოდით და რაც თავისთავად გამომდინარეობს. 2022 წლის მონაცემით, კორუფციის აღმის ინდექსით, შვეიცარია მსოფლიოს მე-7 ადგილს

[65] Universität Wurzburg. Democracy Matrix. Ranking of Countries by Quality of Democracy. https://www.democracymatrix.com/ranking (20/06/23)
[66] Freedom House. Freedom in World 2023. Switzerland. https://freedomhouse.org/country/switzerland/freedom-world/2023 (20/06/23)
[67] The Global Economy. Switzerland Overall Globalization. https://www.theglobaleconomy.com/Switzerland/kof_overall_glob/ (20/06/23)

იკავებდა და მისი ქულა 82/100 შეადგინა.[68] აღნიშნულის უკეთ გასააზრებლად მაგალითისათვის მოვიყვანოთ, ბელარუსია, რომლის ანალოგიურმა მაჩვენებლმა-39/100 ქულა შეადგინა, ხოლო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 91 ადგილი დაიკავა. და ბოლოს, შვეიცარიაში, მაღალი დონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მიუთითებს ბედნიერების ინდექსი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში-7.24-ია.[69] მართალია მოყვანილი 2022 წლის მონაცემი, წინა წლებთან შედარებით 0.25-0.3-ით შემცირებულია, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს ქვეყანას, მიენიჭოს მსოფლიოს უბედნიერესი ქვეყნის სტატუსი სკანდინავიის ქვეყნების(დანია, ნორვეგია, შვედეთი) შემდეგ.

7.3 გლობალური და რეგიონალური ორგანიზაციები.

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია დღედღობითაც არ არის ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაციის-ევროკავშირის წევრი, იგი სხვა ბევრი საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო დონეზე, შვეიცარია ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციების წევრია, როგორებიცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი, საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტო, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ამასთანავე იგი ნატოს-მშვიდობის პარტნიორობის პროგრამის წევრი და დამკვირვებელია. [70] აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ბევრია ისეთი, რომელთა ე.წ შტაბ-ბინები, სწორედ შვეიცარიაში, ჟენევისა და ციურიხის რეგიონებშია წარმოდგენილი. რეგიონული ორგანიზების მიხედვით, შვეიცარია თითქმის ყველა ორგანიზაციის წევრია გარდა ევროკავშირისა და მასში შემავალი ინსტიტუტების(ევროკომისია, ევროპარლამენტი), მათ შორის: ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროპის საბჭო და სხვა.

[68] Transparency International. Switzerland. Country Data. Corruption Perceptions Index. https://www.transparency.org/en/countries/switzerland (20/06/23)
[69] The Global Economy. Switzerland Happiness Index. https://www.theglobaleconomy.com/Switzerland/happiness/ (20/06/23)
[70] U. S. Embassy in Switzerland & Lichtenshtein. U.S & Switzerland. Our Relationship. https://ch.usembassy.gov/our-relationship/policy-history/ (20/06/23)

შეჯამება

მოძიებული ინფორმაციის და სტატისტიკური მონაცემების, დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარია, თანამედროვე განვითარებული სამყაროს ერთ-ერთი გვირგვინოსანი სახელმწიფოა. გეოგრაფიულად ქვეყნის ადგილმდებარეობამ, კომპლექსური ბუნებრივი პირობებისა და გარემოს არსებობამ, ქვეყანა დააყენა განვითარების იმ გზაზე, რომლისთვისაც საუკუნეების განმავლობაში შვეიცარიას არ გადაუხვევია. ეთნიკური და ლინგვისტური განსხვავებების მიუხედავად, მოსახლეობამ უძველესი დროიდან შეძლო ერთი იდეის-შვეიცარიის კონფედერაციის ირგვლივ გაერთიანება და საკუთარი, არამატერიული თუ მატერიალური რესურსების კონსოლიდაცია, რამაც თავის მხრივ განავითარა ქვეყნის ეკონომიკა, შემდგომ კი გააუმჯობესა სოციალური მდგომარეობა. აღნიშნულმა კი თავის მხრივ განაპირობა, მოსახლეობის კიდევ უფრო დაახლოება და საბოლოოდ ჩამოყალიბება, როგორც შვეიცარიელი ერი. შვეიცარია დღესაც სთავაზობს და ალბათ მომავალშიც შესთავაზებს ადამიანებს, საცხოვრებელი პირობების ისეთ კომპლექტს, რომ შესაძლოა ქვეყანას „ადამიანური კეთილდღეობის აკვანიც“ კი დაერქვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. CIA. The World Factbook. Explore All Countries. Europe. Switzerland. Last Update: 20/06/2023 https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/
2. Federal Department of Foreign Affairs. Archive. A Brief Survey of Swiss History. Last Update: 31/07/2007 https://web.archive.org/web/20090626222448/http://www.eda.admin.ch/eda/en/home/reps/ocea/vaus/infoch/chhist.html
3. The World Bank. Data. Switzerland. https://data.worldbank.org/country/switzerland?view=chart
4. Swiss National Bank. https://www.snb.ch/en/
5. Federal Office of Meteorology & Climatology. Climate of Switzerland. https://www.meteoswiss.admin.ch/climate/the-climate-of-switzerland.html
6. The Federal Council of Switzerland. Discover Switzerland. https://www.eda.admin.ch/aboutswitzerland/en/home.html
7. The Federal Statistical Office of Switzerland. https://www.bfs.admin.ch/bfs/en/home.html
8. European Commission. Eurydice. Switzerland. https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/switzerland
9. The Editors of Encyclopedia Britannica. Switzerland. E. Egli. D. Wachter. T. Maissen. https://www.britannica.com/place/Switzerland
10. Swiss Farmers Official Website. https://www.swiss-farmers.ch/
11. Universität Wurzburg. Democracy Matrix. Ranking of Countries by Quality of Democracy. https://www.democracymatrix.com/ranking
12. Freedom House. Freedom in World 2023. Switzerland. https://freedomhouse.org/country/switzerland/freedom-world/2023
13. Transparency International. Switzerland. Country Data. https://www.transparency.org/en/countries/switzerland
14. U. S. Embassy in Switzerland & Lichtenshtein. U.S & Switzerland. https://ch.usembassy.gov/our-relationship/policy-history/